საქართველოს მთავრობის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა

N 2749 2019 წლის 31 დეკემბერი ქ. თბილისი

სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსათვის „საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლითა და „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლით გათვალისწინებულ შეზღუდვებზე გამონაკლისის დაშვების თაობაზე

1. „საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებისა და „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, 2020 წლისათვის სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროზე არ გავრცელდეს „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-3 პუნქტითა და „საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვები და მიეცეს თანხმობა, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობა განსაზღვროს 192

ერთეულით (მათ შორის, მუდმივი ამოცანების შესასრულებლად – 165 (ას სამოცდახუთი) ერთეულით, ხოლო არამუდმივი ამოცანების შესასრულებლად – 27 (ოცდაშვიდი) ერთეულით).

2. განკარგულება ძალაშია 2020 წლის 1 იანვრიდან.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი გახარია**